



საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ

2022

დემოკრატიის
კვლევის
ინსტიტუტი

2023



ანგარიში მოამზადა
დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI)
პროექტის „ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე
უსაფრთხოების სექტორის მხარდასაჭერად“ ფარგლებში.

პროექტის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს
ორგანიზაცია „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED).
პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის
პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა
დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.



შესავალი	3
მეთოდოლოგიური ჩარჩო	4
1. სიტუაციური ანალიზი.....	6
1.1. პოლიტიკური კონტექსტი	7
1.2. სოციალური კონტექსტი	8
2. აქციებზე დაკვირვების შედეგები	9
2.1. უკრაინის მხარდამჭერი აქციები	9
2.2. ევროინტეგრაციის მხარდამჭერი აქციები.....	10
2.3. საპროტესტო მოძრაობა „ტალღას“ აქციები.....	14
2.4. მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აქციები	15
2.5. ნიკა გვარამიას მხარდამჭერი აქციები.....	18
2.6. აქციები საწვავის ფასებზე	19
2.7. აქციები ვაკის პარკში არასრულწლოვანის გარდაცვალების გამო....	20
2.8. ულტრამემარჯვენეების მიერ გამართული აქცია ტელევიზიასთან	21
3. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი	22
3.1 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები	22
4. დემონსტრანტები და სამართალდამცავები აქციაზე.....	27
4.1. დემონსტრანტების ქცევა აქციებზე	27
4.2 სამართალდამცველთა ქმედებები აქციებზე.....	28
მონიტორინგის მთავარი მიგნებები.....	31

შესავალი

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2022 წლის პირველი თებერვლიდან 2023 წლის პირველი იანვრის ჩათვლით თბილისში და რუსთავეში აქტივისტთა ჯგუფების, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო მოძრაობების მიერ ორგანიზებული პოლიტიკური შინაარსის საპროტესტო აქციებსა და პერფორმანსებზე დაკვირვების შედეგებს. ანგარიშში ასევე ასახულია ულტრამემარჯვენე დაჯგუფების შეკრებაზე დაკვირვების შედეგები.¹

აქციებს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი პროექტის - „უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში აკვირდება.

ანგარიშის მიზანს შეკრება-მანიფესტაციების ორგანიზებისა და მიმდინარეობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, აქციების პერიოდში გამოკვეთილი სამართალდარღვევების სამართლებრივი ანალიზი და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქმედებების ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება წარმოადგენდა.

საანგარიშო პერიოდში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები 50 საპროტესტო აქციას დააკვირდნენ. პროტესტი გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზებით და მის მთავარ ადრესატს ძირითადად საქართველოს ხელისუფლება წარმოადგენდა.

ანგარიში შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისგან. პირველ ნაწილში განხილულია პოლიტიკური და სოციალური კონტექსტი, რაც საპროტესტო აქციების განმაპირობებელ ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა და რამაც არსებითი გავლენა იქონია აქციების მიმდინარეობაზე. დოკუმენტის მეორე ნაწილი ასახავს აქციების შინაარსს, მესამე ნაწილში გაანალიზებულია

¹ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრებებს აკვირდებოდა პროექტის „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით. დაკვირვების შედეგები ასახულია - *ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციებზე დაკვირვების ანგარიში*. ანგარიშის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3VZtP3F>. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში არ მოხვდა ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების ის შეკრებები, რომლებიც 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით გაიმართა.

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივი ჩარჩო, ხოლო მეოთხე ნაწილი ეხება დემონსტრანტების გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტს და სამართალდამცავების ქცევის შეფასებას.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დაკვირვებამ აჩვენა, რომ 2020-2021 წლებთან შედარებით,² მშვიდობიანი შეკრების დროს დაკავებულ პირთა რაოდენობა და სამართალდამცავების მხრიდან ძალის გადამეტების სიხშირე შემცირებულია. თუმცა, კვლავ აქტუალური რჩება სამართალდამცველების და სასამართლოს შერჩევითი მიდგომა აქციაზე დაკავებული პირების მიმართ - როგორც წესი, ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიერ ორგანიზებულ აქციებზე დაკავებულ პირებს სასამართლო არაპროპორციულად მაღალ ჯარიმებს უფარდებს, მაშინ როდესაც სამართალდამცველები ულტრამემარჯვენე ჯგუფების აქციებზე დაკავებულ პირებს სიტყვიერი გაფრთხილების სანაცვლოდ ათავისუფლებენ.³

მეთოდოლოგიური ჩარჩო

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები 2022 წლის პირველი თებერვლიდან 2023 წლის პირველ იანვრამდე 50 აქციას დააკვირდნენ. დაკვირვებისას გამოვიყენეთ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OOSCE/ODIHR) სახელმძღვანელოზე დაყრდნობით შემუშავებული შეკრებებისა და დემონსტრაციების მონიტორინგის სპეციალური ფორმა, რომელმაც საპროტესტო აქციების დროს მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტების სისტემატიზაციის შესაძლებლობა მოგვცა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები მხოლოდ იმ პოლიტიკური შინაარსის საპროტესტო აქციებს დააკვირდნენ, რომლებიც სამოქალაქო მოძრაობებმა, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა და პოლიტიკური

² democracyresearch.org (ვებგვერდი), საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ (2020), ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/316/>; საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ (2021), ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/527/>

³ democracyresearch.org (ვებგვერდი), 6.10.2022, DRI ულტრამემარჯვენე ჯგუფებზე დაკვირვების ერთი წლის შედეგებს აჯამებს, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1075/>

პარტიების წარმომადგენლებმა თბილისსა და რუსთავში გამართეს. სამოქალაქო აქტივისტების და პოლიტიკური პარტიების მიერ დაგეგმილი აქციების შესახებ ინფორმაცია პირადი კონტაქტების, სოციალური და ონლაინ მედიის დახმარებით მოვიძიეთ.

საანგარიშო პერიოდის პირველ ნახევარში (თებერვალი-აგვისტო) აციათა რაოდენობის სიმცირე, რომელსაც ორგანიზაციის დამკვირვებლები დააკვირდნენ, განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორით. პირველ რიგში, იმით, რომ დროის ზემოთ აღნიშნულ პერიოდში აქციები იშვიათად იმართებოდა; ამასთან, შეკრება, ხშირად სხვა დიდ ქალაქში ტარდებოდა;⁴ ასევე, რთული იყო სპონტანური აქციების მონიტორინგი, აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე პერიოდში მიმდინარე აქციების შემთხვევაში, დაკვირვების ობიექტის შერჩევა შეკრების თავისუფლების დარღვევის მეტი საფრთხის არსებობის დაშვებით ხდებოდა.

აქციების დაკვირვების ფარგლებში, მონაცემების ანალიზისთვის გამოვიყენეთ შემდეგი კვლევითი მიდგომები:

- **საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან** - მონიტორინგის ფარგლებში თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოვითხოვეთ აქციების გამართვის შესახებ მიმართვიანობის და შესაბამისად, სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.
- **მედია მონიტორინგი** - სხვადასხვა მედიასაშუალებების ვიდეომასალისა და ონლაინ გამოცემების პირდაპირი ჩართვების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი.
- **სამოქალაქო აქტივისტების მიერ აქციაზე გადაღებული ფოტო და ვიდეო მასალის ანალიზი.**

გარდა ამისა, ორგანიზაციის გუნდმა, სამოქალაქო აქტივისტებისგან მიიღო, გაანალიზა და დოკუმენტში ასახა საანგარიშო პერიოდში შედგენილი დაკავების ოქმების ასლები და ინფორმაცია აქტივისტებზე დაკისრებული ჯარიმების შესახებ.

⁴ მაგალითად, უკრაინის მხარდამჭერი აქციები იმართებოდა ბათუმში, რასაც პირველ მარტს დემონსტრანტებსა და სამართალდამცავებს შორის დაპირისპირება მოჰყვა. 1tv.ge, 01.03.2022, „საპროტესტო აქცია ბათუმში“, ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/video/saprotesto-aqcia-batumshi-20/>, (ბოლოს ნანახია: 12.01.2023)



1.

სიბუასიური ანალიზი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულმა სრულმასშტაბიანმა ომმა გავლენა საქართველოზეც იქონია. 2022 წლის თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისში თბილისში გაიმართა უკრაინის მხარდასაჭერი და რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკური დემონსტრაციები. რუსეთ-უკრაინის ომის ირიბ გლობალურ შედეგებს შორის იყო საწვავის ფასების ზრდა მთელ მსოფლიოში. ამ სოციალურად მძიმე მოვლენას ბევრ ქვეყანაში მოჰყვა პროტესტი. საწვავის ფასების ზრდა გააპროტესტეს საქართველოშიც.

საქართველოს ირგვლივ შექმნილი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ამ მდგომარეობაზე ხელისუფლების არასათანადო რეაგირება არაერთხელ გახდა საპროტესტო აქციების საფუძველი. გეოპოლიტიკურმა ვითარებამ განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი აქციები მას შემდეგ გამოიწვია, რაც საქართველომ, მოლდოვისა და უკრაინისგან განსხვავებით, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი ვერ მიიღო.

საანგარიშო პერიოდში ასევე, გაიმართა აქციები, რომელთა მიზეზი ოპოზიციის ლიდერებისა და ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედია მფლობელების და მენეჯერების⁵ წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლებრივი დევნა იყო. არაერთი აქცია ჩატარდა ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით, როგორც დედაქალაქში, ასევე რუსთავეში. სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების შემდეგ, პერმანენტული აქციები იმართებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოსთან და პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის სასახლესთან, ყოფილი პრეზიდენტის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანის და შეწყალების მოთხოვნით.

⁵ Democracyresearch.org (ვებგვერდი), 20.05.2020, კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ განცხადება „კოალიცია ნიკა გვარამიას საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხმარება“, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/968/> (ბოლოს ნანახია: 12.08.2022).

1.1. პოლიტიკური კონტექსტი

საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება არასტაბილური და პოლარიზებული იყო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შარლ მიშელის მედიატორობით მიღწეული შეთანხმების ორმხრივი საბოტაჟის შემდეგ, ხელისუფლებასა და ოპოზიციის უმეტეს ნაწილს შორის თანამშრომლობის მიღწევა უკიდურესად გართულდა. პოლიტიკურმა კრიზისმა მორიგ პიკს მიაღწია ევროკომისიის გადაწყვეტილების შემდეგ, როდესაც საქართველომ უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი ვერ მიიღო. ევროკომისიის გადაწყვეტილება ოპოზიციურმა ძალებმა და სამოქალაქო სექტორმა ხელისუფლების უმოქმედობით⁶ და ევროსტრუქტურებსა და მეგობარი ქვეყნების ელჩებზე თავდასხმით⁷ ახსნეს. ევროკომისიის გადაწყვეტილების პარალელურად, 20 ივნისს ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური აქცია გაიმართა. აქციის ძირითადი მიზანი საქართველოს ევროპული არჩევანის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერის დემონსტრირება იყო.

საანგარიშო პერიოდში საქართველოში პოლიტიკურ კონტექსტის ფორმირებაზე ყველაზე სერიოზული გავლენა რუსეთ-უკრაინის ომმა იქონია. ამ ომის შედეგად წარმოქმნილ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში ოპოზიცია (მათ შორის, საპროტესტო აქციებზე გამოსვლებშიც) ბრალს სდებდა ხელისუფლებას პასიურობაში და ზოგჯერ პრორუსული პოზიციების გატარებაშიც. ამ გეოპოლიტიკური საფუძვლით მოწყობილი საპროტესტო აქციების ბოლო მოთხოვნა ტექნიკური მთავრობის ჩამოყალიბება იყო.⁸

ევროინტეგრაციის პროცესის და რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად, პოლიტიკურ კონტექსტზე ყველაზე დიდი გავლენა ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პატიმრობამ და ჯანმრთელობის დამ-

⁶ Interpressnews.ge (ვებგვერდი), 19.06.2022, „გიგი წერეთელი: ხელისუფლების უმოქმედობა და მოქმედება მთავარი დამაზიანებელი გახდა ევროინტეგრაციის პროცესში“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FUBEmm> (ბოლოს ნანახია: 12.08.2022).

⁷ Interpressnews.ge (ვებგვერდი), 21.07.2022, „მამუკა ხაზარაძე: პრორუსული მთავრობა აგრძელებს ჩვენი ქვეყნის მეგობარ ელჩებზე და ევროპულ ინსტიტუტებზე თავდასხმებს, რაც სრულიად მიუღებელია!“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3UUFxMw> (ბოლოს ნანახია: 12.08.2022).

⁸ Netgazeti.ge (ვებგვერდი), 27.06.2022, „ეროვნული თანხმობის ტექნიკური მთავრობა — რას ნიშნავს ეს?“, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/life/618103/> (ბოლოს ნანახია: 12.08.2022).

მიმებულმა მდგომარეობამ იქონია. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები სააკაშვილთან დაკავშირებული მოთხოვნებით გამართულ 20 აქციას დააკვირდნენ. სააკაშვილის ფიგურის მიმართ დამოკიდებულება კვლავ რჩებოდა პოლიტიკური პოლარიზაციის ერთ-ერთ წყაროდ.

1.2. სოციალური კონტექსტი

საანგარიშო პერიოდში საქართველოში არსებული მძიმე სოციალური ფონი რამდენიმე იზოლირებული აქციის ჩატარების საფუძვლად იქცა.⁹ 2022 წელს სოციალური მდგომარეობის გაუარესება განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ისეთ ინდიკატორებზე დაყრდნობით, როგორიც, მაგალითად, ინფლაციის ორნიშნა წლიური მაჩვენებელია.¹⁰

გაზრდილ ფასებს შორის ყველაზე მწვავე აღმოჩნდა საწვავის ფასების ზრდა. ამ პრობლემის გასაპროტესტებლად, მოქალაქეები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში რამდენჯერმე შეიკრიბნენ.¹¹ თუმცა სოციალური მოთხოვნების ირგვლივ სისტემური და ხანგრძლივი საპროტესტო მუხტის ორგანიზება ვერ მოხერხდა. რამდენიმე თვითორგანიზებული აქცია კი უმეტესად სტიქიური, ქაოსური აღმოჩნდა და პოლიტიკური დატვირთვა ვერ შეიძინა.

⁹ Interpressnews.ge (ვებგვერდი), 11.04.2022, „თბილისის საკრებულოსთან მოძრაობა „ტალღას“ წევრებმა აქცია გამართეს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FqBEJw> (ბოლოს ნანახია: 12.08.2022).

¹⁰ Businessformula.ge (ვებგვერდი), 3.05.2022, „წლიური ინფლაცია 12.8%-ია - საქსტატი“, ხელმისაწვდომია: <https://businessformula.ge/News/8577> (ბოლოს ნანახია: 12.08.2022).

¹¹ Ajaratv.ge (ვებგვერდი) 02.04.2022, „ბათუმელმა მძღოლებმა საწვავის ფასი კიდევ ერთხელ გააპროტესტეს“, ხელმისაწვდომია: <https://www.ajaratv.ge/article/94184> (ბოლოს ნანახია: 12.08.2022).



2.

აქტივებზე დაკვირვების შედეგები

2.1. უკრაინის მხარდამჭერი აქტივები

რუსეთ-უკრაინის ომი საანგარიშო პერიოდში საქართველოში ჩატარებული არაერთი მასშტაბური აქციის საფუძველი გახდა. ამ დღიდან საქართველოს სხვადასხვა ქალაქში უკრაინის მხარდასაჭერად გამოსვლები დაიწყო. განსაკუთრებული აქტიურობით თბილისი გამოირჩეოდა. აქციები ძირითადად სამოქალაქო აქტივისტებისა და ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების მიერ იყო ორგანიზებული. გამოსვლები ძირითადად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. აქციების მონაწილეთა რაოდენობა, ორ შემთხვევაში, 20,000-მდე იყო; თუმცა, ძირითადად, 1,000-დან 2,000-მდე მერყეობდა. გარდა ამისა, გაიმართა არაერთი მცირე-მასშტაბიანი აქცია.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები უკრაინის მხარდასაჭერად გამართულ 11 აქციას დააკვირდნენ (23 იანვარს, 24 თებერვალს, 25 თებერვალს, 28 თებერვალს, 6 მარტს, 7 მარტს, 29 მარტს, 3 აპრილს, 27 სექტემბერს, 10 ოქტომბერს, 16 ოქტომბერს). შეკრებების მთავარი ადგილი ძირითადად საქართველოს პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორია იყო. შედარებით მცირემასშტაბიანი აქციები გაიმართა მთავრობის ადმინისტრაციასთანაც, რომლებიც, პარლამენტის წინ გამართული ხალხმრავალი აქციებისაგან განსხვავებით, უფრო ხმაურიანი აღმოჩნდა.

2022 წლის 7 მარტს სამოქალაქო აქტივისტები მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან შეიკრიბნენ და უკრაინის მიმართ საქართველოს მთავრობის პოზიცია გააპროტესტეს. აქციის მონაწილეებმა ადმინისტრაციის შენობას ტუალეტის ქაღალდები ესროლეს, თუმცა სამართალდამცავებმა აქციის 16 მონაწილე, სასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლების დარღვევისათვის მაშინ დააკავეს, როდესაც აქცია უკვე დასრულებული იყო და აქციის მონაწილეები შეკრების ადგილს ტოვებდნენ. ჯამში აქტივისტები სასამართლომ 34 300 ლარით დააჯარიმა, აქციის ერთ-ერთ

მონაწილე დავით დევდარიანს კი 4 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.¹²

7 მარტის აქციას წინ უსწრებდა პარტია „ელენე ხომტარია - დროას“ პროტესტი 6 მარტს. „ჩვენ ყველამ უნდა გავაპროტესტოთ, რომ ჩვენ გვყავს ასეთი მთავრობა. მთავრობა არის უღირსი, ჩვენ არ ვართ უღირსები“, განაცხადა ელენე ხომტარიამ და კანცელარიის წინ რუსული წარმოების კეტჩუპი დაასხა. ამ პერფორმანსის შემდეგ, ელენე ხომტარია, შუშანა მაცაბერიძე და გიგა ლემონჯავა დააკავეს.¹³ დაკავებულები 2-3 საათში გაათავისუფლეს. თუმცა, შუშანა მაცაბერიძე, ელენე ხომტარია, ნათია ლეთოდიანი, ანა ქართლელიშვილი და გიორგი ტალახაძე მომდევნო დღეს, კანცელარიასთან ანტირუსული პლაკატის გაკვრის დროს, სამართალდამცავებთან დაპირისპირებისას კვლავ დააკავეს.¹⁴ საგულისხმოა, რომ წარწერა დროებით აღმართულ კედელზე კეთდებოდა, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, სამართალდარღვევას არ წარმოადგენს.¹⁵ ელენე ხომტარია დაუყოვნებლივ, ხოლო, დანარჩენი დაკავებულები 24 საათიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს.¹⁶ აღსანიშნავია, რომ ამ პროცესზე დაკვირვება, მისი სპონტანური ხასიათიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა.

2.2. ევროინტეგრაციის მხარდამჭერი აქციები

ევროინტეგრაციის მხარდამჭერი აქციები მას შემდეგ დაიწყო, რაც ევროკომისიამ, მოლდოვასა და უკრაინისგან განსხვავებით, საქართველოს

¹² formulanews.ge (ვებგვერდი), 6.04.2022, 7 მარტის ანტირუსულ აქციაზე დაკავებული აქტივისტები ჯამში 34 300 ლარით დააჯარიმეს, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/68131>, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

¹³ formulanews.ge (ვებგვერდი), 6.03.2022, კანცელარიასთან რუსული კეტჩუპის დასხმისთვის ხომტარია, მაცაბერიძე და ლემონჯავა დააკავეს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WS4c5T>, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

¹⁴ publika.ge (ვებგვერდი), „დროას რამდენიმე წევრი ამ დრომდე იზოლაციაში რჩება“, ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/droas-ramdenime-wevri-am-dromde-izolatorshi/>, (ბოლოს ნანახია: 11.01.2023).

¹⁵ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 150

¹⁶ mtavari.tv (ვებგვერდი), „დროას“ აქტივისტი შუშანა მაცაბერიძე გაათავისუფლეს, ხელმისაწვდომია: <https://mtavari.tv/news/52882-droas-aktivisti-shushana-matsaberidze>, (ბოლოს ნანახია: 11.01.2023).

ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი არ მიანიჭა.¹⁷ აქციების ორგანიზატორები იყო მოძრაობა „სირცხვილია“ და რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია.¹⁸

ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდამჭერი აქციები მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. აქციაზე მობილიზებული სამართალდამცავები კანონით დადგენილი ფარგლებით მოქმედებდნენ. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები ევროინტეგრაციის მხარდამჭერ 6 აქციას დააკვირდნენ. შეკრებების ძირითადი ადგილი საქართველოს პარლამენტის, მოგვიანებით კი მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან მიმდებარე ტერიტორია იყო. აქციები ჩატარდა ევროპის მოედანსა და დედაენის ბაღშიც.

ევროინტეგრაციის მხარდამჭერი აქციები საანგარიშო პერიოდში გამართული აქციებისგან მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა. ევროკომისიის მიღებულ გადაწყვეტილებას მოჰყვა პარლამენტთან ივნისსა და ივლისში გამართული ყველაზე ფართომასშტაბიანი აქციები (20 ივნისი, 24 ივნისი, 28 ივნისი, 3 ივლისი). ყველაზე მასშტაბური ამ მხრივ 20 ივნისის აქცია იყო, რომელსაც 160 000-მდე ადამიანი ესწრებოდა.¹⁹

საწყის ეტაპზე, ევროპული კომისიის გადაწყვეტილების შემდეგ, ერთმანეთის პარალელურად დაანონსდა სამი აქცია, რომლებსაც სხვადასხვა ორგანიზატორები ჰყავდა: მოძრაობა „სირცხვილია“, პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი“ და საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი.

2022 წლის 16 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის მოწოდების საფუძველზე, ევროპის მოედანზე დაახლოებით 300-მდე ადამიანი შეიკრიბა, მათ შორის, დიპლომატიური კორპუსის, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. აქციის სლოგანი იყო „დავენახოთ ევროპას“. აქციაზე ორგანიზატორი სიტყვით არ გამოსულა. პრეზიდენტმა

¹⁷ radiotavisupleba.ge (ვებგვერდი), 23.06.2022, ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/31911739.html>, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

¹⁸ radiotavisupleba.ge (ვებგვერდი), 20.06.2022, „მივმართოთ რისხვა ოლიგარქიული მმართველობისკენ“ - 20 ივნისის მანიფესტი, ხელმისაწვდომია:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/31906919.html>, (ბოლოს ნანახია: 12.01.2023).

¹⁹ Netgazeti.ge (ვებგვერდი), 20.06.2022, „რამდენი ადამიანი იმყოფებოდა აქციაზე „შინ, ევროპისკენ“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ZqjhxN> (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

20 ივნისისთვის დაგეგმილი აქცია 2020 წლის 20 ივნისს განვითარებულ მოვლენებს, ე.წ. გავრილოვის ღამეს დაუკავშირა და განაცხადა, რომ სტრატეგიულად მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ამ დროს ქუჩაში გამოსვლა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოთხოვნა.²⁰

2022 წლის 20 ივნისის აქციაზე „შინ ევროპისკენ“, რომელსაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ყველაზე მასშტაბური იყო, აქციის ორგანიზატორებმა პარლამენტის წინ შეკრებილ მონაწილეებს მანიფესტი გააცნეს, რომლითაც ახალი სახალხო მოძრაობის შექმნა დაანონსდა:

„ჩვენი მოთხოვნების შეუსრულებლობა განაპირობებს მასობრივ დაუმორჩილებლობას. ფეხზე დადგება საქართველოს ყველა რეგიონი და ქალაქი, რათა არაძალადობრივი წინააღმდეგობის ტალღამ წალეკოს ყველა, ვინც ჩვენ ქვეყანას შინ, ევროპისკენ მიმავალ გზაზე გადაეღობება.“²¹

სამართალდამცავები აქციის მონაწილეებთან ერთად და შეკრების მიმდებარე ტერიტორიაზე იყვნენ განლაგებულნი. მათ დემონსტრანტებთან მიმართებით ნეიტრალური დამოკიდებულება ჰქონდათ.

24 ივნისს გამართულ მასშტაბურ აქციას 80 000-მდე ადამიანი ესწრებოდა. აქციაზე ორგანიზატორებმა წამოაყენეს მთავარი მოთხოვნა – ერთი კვირის ვადაში გადამდგარიყო პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და შექმნილიყო „ეროვნული თანხმობის მთავრობა“, რომელიც შეასრულებდა ევროკავშირის 12 მოთხოვნას ზამთრის მოსვლამდე.²² 24 ივნისის აქციაზეც პოლიციელები განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩეოდნენ. ამას შეკრების მშვიდი ხასიათიც განაპირობებდა. მიუხედავად აქციის ორგანიზატორების მტკიცე შინაარსის განცხადებისა, ისინი ცდილობდნენ ხაზი გაესვათ, რომ მიზნის მიღწევას არაძალადობრივი გზით აპირებდნენ.

²⁰ Netgazeti.ge (ვებგვერდი), 14.06.2022, „ზურაბიშვილი 20 ივნისს დაგეგმილი აქციის ორგანიზატორებს მისი გადადებისკენ მოუწოდებს“, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/615864/>, (ბოლოს ნანახია: 07.09.2022).

²¹ Radiotavisupleba.ge (ვებგვერდი), 20.06.2022, „მივმართოთ რისხვა ოლიგარქიული მმართველობისკენ - 20 ივნისის მანიფესტი“, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31906919.html>, (ბოლოს ნანახია: 07.09.2022).

²² Netgazeti.ge (ვებგვერდი), 24.06.2022, „რამდენი ადამიანი ესწრებოდა 24 ივნისის აქციას?“, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/617813/?fbclid=IwAR0lnWAcIpt62rUMySuZ-EGxW-2JppXJL-OLiUFGovbRR_f-xFFDLvrkgGs, (ბოლოს ნანახია: 07.09.2022).

2022 წლის 3 ივლისის აქციაზე შეკრების ორგანიზატორების მხრიდან გაკეთებულმა რადიკალურმა განცხადებებმა მათი იდეის მხარდამჭერებში დაბნეულობა გამოიწვია, რის გამოც, მოძრაობა „სირცხვილიამ“ განცხადება გაავრცელა და საჯაროდ ბოდიშის მოხდასთან ერთად, გამოთქვა მზაობა ევროკომისიის 12 პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად, მოლაპარაკების მაგიდასთან გადაენაცვლებინა.²³ ამასთან, ნათელი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლება აქციის ორგანიზატორებთან საუბარს არ აპირებდა და ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებას საკუთარი გეგმით აპირებდა.²⁴

საკანონმდებლო ორგანოს წინ 28 ივნისსა და 3 ივლისსაც შეიკრიბნენ აქციის მონაწილეები, იმავე მოთხოვნებით, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობით. ევროინტეგრაციის მხარდამჭერი შედარებით მცირე მასშტაბიანი აქციები მომდევნო პერიოდშიც გაიმართა. შეკრებები ძირითადად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, თუმცა კამპანია „შინ ევროპისკენ“ მონაწილეების მიმართ აგრესიულ რიტორიკასა და ცალკეულ შემთხვევებში, ფიზიკურ თავდასხმებს ადგილი მაინც ჰქონდა. მაგალითად, 2022 წლის 30 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში „ქართული ოცნების“ პარტიული აქტივისტები სტუდენტებსა და „შინ ევროპისკენ“ კამპანიის მონაწილეებს თავს დაესხნენ.²⁵ მშვიდობიანი აქციების, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების მხარდასაჭერად საქართველოს სახალხო დამცველმა განცხადება გაავრცელა:

„გასათვალისწინებელია, რომ კამპანიაში მონაწილე პირებზე თავდასხმები და მათ საქმიანობაში ხელშეშლის სხვა ფაქტები, ქმნის დამაშინებელ გარემოს და შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, აღნიშნულს კი შესაძლოა, მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს ქვეყანაში შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაზე და ემსახურებოდეს აგრესიისა და ძალადობის წაქეზებას.“²⁶

²³ ajaratv.ge (ვებგვერდი), 8.07.2022, „გულითად ბოდიშს ვიხდით“ - „სირცხვილიას“ განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://ajaratv.ge/article/99396>, (ბოლოს ნანახია: 12.01.2023).

²⁴ პირველ ივლისს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ევროკომისიის 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესასრულებლად გეგმა წარმოადგინა. Netgazeti.ge (ვებგვერდი), 1.07.2022, „ოცნებამ“ EU-ს 12 პირობის შესასრულებლად გეგმა წარადგინა“, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/619122/>, (ბოლოს ნანახია: 12.01.2023).

²⁵ მთავარი არხი (ფეისბუქგვერდი), 30.06.2022, დაპირისპირება მაღლივში, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/watch/?v=630390228418937>, (ბოლოს ნანახია: 07.09.2022).

²⁶ Radiotavisupleba.ge (ვებგვერდი), 30.06.2022, „სახალხო დამცველის შეფასებით, მოძრაობის, „შინ ევროპისკენ“ წარმომადგენლებზე თავდასხმები დანაშაულის ნიშნებს შეიცავს“, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31923266.html>, (ბოლოს ნანახია: 7.09.2022).

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.²⁷

2.3. საპროტესტო მოძრაობა „ტალღას“ აქციები

ტალღა 2022 წლის გაზაფხულზე შეიქმნა. მოძრაობის ოფიციალური ფეისბუქგვერდის მიხედვით, „მოძრაობა ტალღა არის ყველასთვის, ვისაც მეტის მოთმენა აღარ შეუძლია და პროგრესული ცვლილებები სურს და ღიაა ნებისმიერი მსურველისთვის.“²⁸

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები მოძრაობის მიერ ორგანიზებულ 7 აქციას²⁹ დაესწრნენ. მართალია, შეკრებათა რაოდენობა საანგარიშო პერიოდში შვიდზე მეტი იყო, თუმცა აქციათა სპონტანური ხასიათისა და არასაკმარისი მედიაგაშუქების გამო, დამკვირვებლებს ყველა შეკრების თაობაზე ინფორმაციის მოძიების, დასწრების და აქციების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრის შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

მოძრაობა „ტალღამ“ აქციები აპრილის თვეში, თავისუფლების მოედანზე დაიწყო. შეკრებების მთავარი მოთხოვნა საქართველოს მთავრობის გადადგომა იყო. აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ პლაკატები, რომლებზეც მთავრობის გადადგომის მიზეზები ეწერა: „ეკლესიის გაზულუქების გამო გადადგები“, „თემირლანის გამო გადადგები“ და სხვა. შეკრების მონაწილეთა რაოდენობა, საშუალოდ, 25-35 ადამიანს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ აქციები მშვიდობიანი ხასიათის იყო, „ტალღას“ აქციებზე სამართალდამცავების რაოდენობა, ხშირად აქციის მონაწილეთა რაოდენობის თანაბარი იყო.

დეკემბრის დასაწყისში მოძრაობა „ტალღამ“, პოლიტიკურ გაერთიანება „დროასთან“ ერთად, კვლავ დააანონსა რამდენიმე აქცია, რომელიც საახალწლო სლოგანის - „მშვიდობის ქალაქის“ გაპროტესტებას ისახავდა მიზნად.³⁰ აქციების ორგანიზატორებმა სამოქალაქო აქტივისტებთან ერთად

²⁷ Radiotavisupleba.ge (ვებგვერდი), 30.06.2022, „თსუს „მაღლივ კორპუსთან“ ძალადობის საქმეზე შსს-მ გამოძიება დაიწყო“, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31923137.html>, (ბოლოს ნანახია: 7.09.2022).

²⁸ მოძრაობა „ტალღას“ საჯარო ფეისბუქგვერდი.

²⁹ აქციების გამართვის თარიღები: 11 აპრილი, 13 აპრილი, 18 აპრილი, 19 აპრილი, 30 ნოემბერი, 4 დეკემბერი, 9 დეკემბერი.

³⁰ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები აღნიშნული მიზნით ორგანიზებულ 3 აქციას დაესწრნენ (30.11.2022, 04.12.2022, 09.12.2022).

თბილისის მერიას უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე საახალწლო სლოგანის შეცვლა მოსთხოვეს, იმ საფუძველით, რომ „ქართულ ოცნებას“ მეგობარ სახელმწიფოში მიმდინარე ომი პოლიტიკური სპეკულაციისთვის არ უნდა გამოეყენებინა.³¹

მომხრების ორგანიზატორებმა შექმნეს ფეისბუქგუფი „ტალღა“, რომელიც დაახლოებით 5 400 წევრს აერთიანებს. 2022 წლის 11 აპრილიდან მომხრობამ დაიწყო მცირემასშტაბიანი აქციები, თუმცა პროტესტი ხანგრძლივი არც ამ შემთხვევაში აღმოჩნდა.

2.4. მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აქციები

2022 წლის განმავლობაში განსაკუთრებით აქტუალური იყო მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აქციები. საანგარიშო პერიოდში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერ 20 აქციას დააკვირდნენ. აქციები ძირითადად თბილისში იმართებოდა. თუმცა ერთ შემთხვევაში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები რუსთავის ციხესთან გამართულ აქციასაც დაესწრნენ.³²

საშუალოდ, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციებს, 500-მდე ადამიანი ესწრებოდა (დაახლოებით, 7 აქციაზე), გარდა დეკემბერში პრეზიდენტის რეზიდენციასთან ჩატარებული აქციებისა, სადაც გაცილებით მცირე რაოდენობით მონაწილეები იმყოფებოდნენ. სააკაშვილის მხარდამჭერ აქციებზე სამართალდამცავების რაოდენობა დაახლოებით, 50-დან 70-მდე იყო. თუმცა, სალომე ზურაბიშვილის რეზიდენციასთან გამართულ აქციებზე პოლიციელთა რაოდენობა ხანდახან შეკრების მონაწილეთა რაოდენობასაც კი აღემატებოდა (დაახლოებით 30-35 სამართალდამცავი).

აქციები მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში. სამართალდამცავები და დემონსტრანტები მოქმედებდნენ კანონით დადგენილი წესების შესაბამ-

³¹ netgazeti.ge (ვებგვერდი), თავისუფლების მოედანზე თბილისის საახალწლო სლოგანი – „მშვიდობის ქალაქი“ გააპროტესტეს, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/643914/>, 30.11.2022, (ბოლოს ნანახია: 02.12.2022).

³² interpressnews.ge (ვებგვერდი), 06.05.2022, „რუსთავის ციხესთან მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანის მოთხოვნით საპროტესტო აქცია იმართება“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jDTi5r>, (ბოლოს ნანახია: 29.22.2022)

ისად. შეკრებებზე არ დაფიქსირებულა კანონმდებლობით აკრძალული საგნები. პოლიციელებსა და აქციის მონაწილეთა შორის დამოკიდებულება იყო ნეიტრალური. დეკემბერში, ორბელიანის რეზიდენციასთან გამართულ აქციაზე პოლიციელები ფოტოებს უღებდნენ აქციის მონაწილეებს, თუმცა ამასთან დაკავშირებით პროტესტი არავის გამოუთქვამს.

სააკაშვილის მხარდამჭერი აქციების რაოდენობა განსაკუთრებით დეკემბერში გაიზარდა, რაც ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით იყო გამოწვეული. მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი იმ აქციებს, რომლებსაც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები ვერ დაესწრნენ, ძირითადად, სპონტანური ხასიათი ჰქონდა.

2022 წლის 23 დეკემბრიდან პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობის კანდიდატმა გიორგი მუმლაძემ მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად უწყვეტი პროტესტი დააანონსა. მუმლაძის და სააკაშვილის მხარდამჭერები ყოველდღიურ რეჟიმში იკრიბებოდნენ ორბელიანის სასახლესთან საქართველოს მესამე პრეზიდენტის შეწყალების მოთხოვნით. აქციის მონაწილეები საღამოს 9 საათისთვის საქართველოს პრეზიდენტის საცხოვრებელი სახლისკენ ინაცვლებდნენ ბანერებით „თავისუფლება მიშას“, საქართველოს, ამერიკისა და ევროკავშირის დროშებით ხელში. პროტესტის პერმანენტულ რეჟიმში გადასვლა განაპირობა 22 დეკემბრის სასამართლო პროცესის 29 დეკემბრისთვის გადადებამ.³³

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები თბილისის საქალაქო სასამართლოსთან გამართულ 4 აქციას დაესწრნენ (9 დეკემბერს, 14 დეკემბერს, 22 დეკემბერს, 29 დეკემბერს). სასამართლოსთან, აქციის საწყის ეტაპზე საშუალოდ, 250 ადამიანი იმყოფებოდა, ხოლო სამართალდამცავების რაოდენობა, დაახლოებით, 50-70-ს შეადგენდა. ამ შემთხვევაშიც, ყველა შეკრებამ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა.

პერმანენტულ აქციებს 28 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის სასახლესთან კონტრაქცია მოჰყვა, რომლის 1000-მდე მონაწილემაც სალომე ზურაბიშვილის მოუწოდა, არ შეეწყალებინა ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.³⁴ აქციის ორგანიზატორები იყვნენ ლალი მოროშკინა და

³³ სასამართლოს 2023 წლის 10 იანვრის მდგომარეობით არ მიუღია გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადების შესახებ.

³⁴ [radiotavisupleba.ge](https://www.radiotavisupleba.ge) (ვებგვერდი), 28.12.2022, „სალომე ზურაბიშვილის აქციით მოუწოდეს, „არ გაბედოს“ მიხეილ სააკაშვილის შეწყალება“, ხელმისაწვდომია:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/32197240.html>, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის ოჯახის წევრები. შეკრებილების თქმით, მიხეილ სააკაშვილი არა შეწყალებას, არამედ ნულოვან ტოლერანტობასა და სამუდამო პატიმრობას იმსახურებდა მისი პრეზიდენტობის დროს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების გამო. ლალი მოროშკინამ მიმართვის დროს თქვა: „ახლა სალომე ზურაბიშვილი სადღაც ფარდის უკან დგას და მე მოვუწოდებ მას, დადგეს ხალხთან ერთად!“ დემონსტრანტების განცხადებებსა და სასახლის ეზოში შესვლას, საქართველოს პრეზიდენტის გამოჩენა მოჰყვა, თუმცა, ხმაურის გამო, მან სიტყვით მიმართვა შეწყვიტა და ბრიფინგი ჩანიშნა. **სამართალდამცავებს კონტრაქციის მონაწილეთა შესაკავებლად, რომლებიც რეზიდენციის ეზოში შევიდნენ, არანაირი ზომა არ მიუღიათ.** აქციას, დაახლოებით, 40 პოლიციელი ესწრებოდა, რაც კონტრაქციის მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით არაპროპორციულად მცირე იყო.

გიორგი მუმლაძის ორგანიზებით ჩატარებული აქციის მონაწილეთა რიტორიკა შეიცვალა მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ბრიფინგი გამართა, ხელისუფლება მისი მისამართით შანტაჟში ამხილა და კრიტიკული პოზიცია დააფიქსირა.³⁵ მთავარ კითხვაზე კი, შეიწყალებს თუ არა მიხეილ სააკაშვილს, უპასუხა - „მთავარ შეკითხვას პასუხი გაეცემა, როცა გაეცემა.“ ბრიფინგის შემდეგ გამართულ აქციაზე გიორგი მუმლაძემ სალომე ზურაბიშვილს სიტყვით მიმართა:

„ზურაბიშვილს პირდაპირ მივმართავ - თუ ის ამ ისტორიულ ნაბიჯს გადადგამს, ჩვენი განსხვავებულობისა და იმ უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, რაც აქამდე გამომივლენია, მე ჩემს მეგობრებთან ერთად პირად წყენებს გადავდებ და თუ საჭიროა, მას ბიძინა ივანიშვილისა და მისი გიენებისგან ფიზიკურად დავიცავ. ეს არის ჩვენი განცხადება. იმიტომ, რომ ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის ეროვნული ინტერესების დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირადი წყენები.“³⁶

³⁵ სალომე ზურაბიშვილის ბრიფინგი, 28.12.2022. კურიერი 17 საათზე, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=Q-FceSkOT-Y>, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

³⁶ Tabula.ge (ვებგვერდი), 29.12.2022, „მუმლაძე ზურაბიშვილზე: თუ მიმას შეიწყალებს და საჭირო გახდა, ივანიშვილისგან ფიზიკურად დავიცავ“, ხელმისაწვდომია: <https://tabula.ge/ge/news/695375-mumladze-zurabishvilze-tu-mishas-sheicqalebs>, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

პრეზიდენტის სასახლესთან გამართული პერმანენტული აქციები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. სამართალდამცავები და დემონსტრანტები იცავდნენ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. საანგარიშო პერიოდში სულ 7 ასეთი აქცია ჩატარდა, რომლის უშუალო ადრესატი სალომე ზურაბიშვილი იყო. აღნიშნულ აქციებს აქტიურად მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე წევრი ესწრებოდა და მათი რიცხვი 25-დან 35-მდე მერყეობდა.

2.5. ნიკა გვარამიას მხარდამჭერი აქციები

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლები სამაუწყებლო კომპანია „მთავარის“ დირექტორის ნიკა გვარამიას მხარდასაჭერ აქციებს დააკვირდნენ. 2022 წლის 16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკა გვარამიას „რუსთავი 2-ის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ყოფნისას, კომპანიისთვის ზიანის მიყენების საქმეზე 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2022 წლის 18 მაისს მედიის წარმომადგენლებმა, აქტივისტებმა და რიგითმა მოქალაქეებმა თბილისის ცენტრში, პირველი რესპუბლიკის მოედნიდან რუსთაველის გამზირის მიმართულებით მსვლელობა მოაწყვეს. აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ ბანერები – „არა ცენზურას“, „არა შერჩევით სამართალს“.³⁷ აქციის მონაწილეებმა ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ოფისთან, ჩუბინაშვილის ქუჩაზე გადაინაცვლეს. აქციას დაახლოებით 1 500 ადამიანი ესწრებოდა.

თავისუფლების მოედნის მიმდებარედ 10-მდე საპატრულო მანქანა იდგა. ადგილზე კი, 150-მდე სამართალდამცავი იყო მობილიზებული. მათი დამოკიდებულება შეკრების მონაწილეთა მიმართ ნეიტრალური იყო.

ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის მხარდამჭერი აქცია სხვა ქალაქებშიც გაიმართა,³⁸ თუმცა ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა იმ აქციებზე დაკვირვება ვერ შეძლეს.

³⁷ civil.ge (ვებგვერდი), 19.05.2022, მედიის წარმომადგენლებმა ნიკა გვარამიას მხარდამჭერი აქცია გამართეს, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/491323>, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

³⁸ მაგალითად, ნიკა გვარამიას მხარდამჭერი აქცია გაიმართა გორში 2022 წლის 16 მაისს. ინფორმაცია აქციის შესახებ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WuzNKR> (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

2.6. აქციები საწვავის ფასებზე

მას შემდეგ, რაც საქართველოში საწვავის ფასმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის, თბილისში, საპროტესტო აქციები დაიწყო. ფეისბუქზე შეიქმნა დახურული ჯგუფი „უარი საწვავის ფასებს!“, სადაც, დაახლოებით 161000 ადამიანი გაწევრიანდა. საწვავის ფასებთან დაკავშირებულ საპროტესტო აქციებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროვოკაცია უწოდა.³⁹ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ მოთხოვნით სავარაუდოდ 4 აქცია გაიმართა, თუმცა დაკვირვება მხოლოდ ერთ აქციაზე შეძლო.

5 აპრილს, საქართველოს პარლამენტთან საწვავის ფასებთან დაკავშირებით გამართულ აქციაზე პროტესტის მთავარი ადრესატი მმართველი პოლიტიკური ძალა იყო და მთავარ მოთხოვნას საწვავზე აქციზის გადასახადის გაუქმება და დღე-ს გადასახადის მცურავ რეჟიმზე გადაყვანა წარმოადგენდა.⁴⁰ აქციის მონაწილეების განცხადებით, მთავრობის ასეთი მიდგომა საწვავის ფასს 80-90 თეთრით შეამცირებდა. შეკრებას დაახლოებით 50-მდე აქციის მონაწილე და 30-მდე სამართალდამცველი ესწრებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საწვავის ფასებთან დაკავშირებული აქციები ძირითადად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, 2022 წლის 27 მარტს რესპუბლიკის მოედანზე გამართულ აქციაზე სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაციით,⁴¹ რამდენიმე ადამიანი დააკავეს. დაკავების ძირითადად მიზეზად აქციის მონაწილეების მხრიდან სხვადასხვა ადგილას სატრანსპორტო კვანძის დაკეტვა დასახელდა. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი მუნიციპალური ორგანოს გაფრთხილების აუცილებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში აწესებს, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს, გარდა იმ შემთხვევისა,

³⁹ Publika.ge (ვებგვერდი), 28.03.2022, „საწვავის ფასებზე აქციის უკან „ნაციონალური მოძრაობა“ იდგა - ღარიბაშვილი“, ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/sawwavis-fasebze-aqciis-ukan-nacionaluri-modzraoba-idga-gharibashvili/>, (ბოლოს ნანახია: 7.09.2022).

⁴⁰ Netgazeti.ge (ვებგვერდი), 27.03.2022, „საწვავის ფასების წინააღმდეგ აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს“, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/602085/>, (ბოლოს ნანახია: 7.09.2022).

⁴¹ იქვე.

როდესაც ტრანსპორტის მოძრაობა გადაკეტილია შეკრებისგან ან მანიფესტაციისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.⁴² მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული კადრების მიხედვით, მანიფესტაციას მსვლელობის ხასიათი ჰქონდა რესპუბლიკის მოედნიდან საქართველოს პარლამენტის მიმართულებით. შესაბამისად, ამ დროს შეუძლებელი იყო ტრანსპორტის გადაადგილება.⁴³ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შეკრების მონაწილეებს თბილისის მერია წინასწარ არ გაუფრთხილებიათ გმირთა მოედანზე ტრანსპორტის სავალ ნაწილზე შეკრებასთან დაკავშირებით. საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავებს შორის ფიზიკური დაპირისპირება გმირთა მოედანზე მოხდა, რადგან აქციის მონაწილეები ცდილობდნენ ავტომობილების მძღოლებისთვის გზა ჩაეკეტათ, რის საშუალებასაც პოლიცია არ აძლევდა.⁴⁴ სწორედ ეს გახდა აქციის მონაწილეთა დაკავების საფუძველი.⁴⁵

2.7. აქციები ვაკის პარკში არასრულწლოვანის გარდაცვალების გამო

2022 წლის 13 ოქტომბერს ვაკის პარკში უსაფრთხოების წესების დარღვევით დამონტაჟებულ შადრევანში მოზარდი დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა, რასაც თბილისის მერიის მიმართ საზოგადოების პროტესტი მოჰყვა. ვაკის პარკის აღდგენით სამუშაოებს თბილისის მერიის დაკვეთით კომპანია „გრინსერვის +“ აწარმოებდა. აქციის მონაწილეები თბილისის მერისგან პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებას და გადადგომას მოითხოვდნენ.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის გასაპროტესტებლად გამართულ სამ აქციას

⁴² „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5, პუნქტი 1.

⁴³ Formulanews.ge (ვებგვერდი), 27.03.2022, „თბილისში საწვავის ფასის შემცირების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართა“, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/67428>, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022)

⁴⁴ ghn.ge (ვებგვერდი), 27.03.2022, „თბილისში, საწვავის გაძვირების საწინააღმდეგო აქციაზე, პოლიციამ 10-მდე პირი დააკავა“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GBYdLM>

⁴⁵ police.ge (ვებგვერდი), 27.03.2022, შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/15191>, (ბოლოს ნანახია: 12.22.2023).

დაესწრნენ. აქედან ორი აქცია თბილისის მერიასთან, ხოლო ერთი - პარლამენტთან ჩატარდა. პარლამენტის წინ აქციას დაახლოებით 150 აქციის მონაწილე და 50-მდე სამართალდამცავი ესწრებოდა. აქციის ორგანიზატორები იყვნენ პოლიტიკური პარტიები „გირჩი - მეტი თავის-უფლება“ და „დროა“.

ყველა ის აქცია, რომელსაც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები დაესწრნენ, მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვაკის პარკში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით 2022 წლის 18 ოქტომბერს 9 პირი დააკავა.⁴⁶

2.8. ულტრამემარჯვენეების მიერ გამართული აქცია ტელევიზიასთან

წინამდებარე ანგარიშში ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ორგანიზებული მხოლოდ 1 აქცია მოექცა,⁴⁷ რომელიც „რუსთავი 2“-ის ეთერში არსებული გადაცემა „პრაიმჰაუსის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. აქცია 2022 წლის 27 ნოემბერს გაიმართა.

აქციის ორგანიზატორები აღნიშნულ გადაცემას მიიჩნევენ „გარყვნილების პროპაგანდად“ და „ანტიქართული“ ღირებულებების გამავრცელებლად, რის გამოც „რუსთავი 2“-ის მენეჯმენტისგან გადაცემის დახურვას მოითხოვდნენ. შეკრების ორგანიზატორები იყვნენ ულტრამემარჯვენე პარტია „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“, მასთან დაკავშირებული მედიაპლატფორმა „ალტ-ინფო“, ულტრამემარჯვენე პარტია „ქართული იდეა“ და ორგანიზაცია „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“. აქციას ესწრებოდა 35 სამართალდამცავი და 100-მდე დემონსტრანტი. პოლიციელებს შეკრებილებთან მიმართებით ნეიტრალური დამოკიდებულება ჰქონდათ. საერთო ჯამში პროტესტმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა.

⁴⁶ police.ge (ვებგვერდი), შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვაკის პარკის ტერიტორიაზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით 9 პირი დააკავა, 18-10-2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3C5rAof>, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

⁴⁷ 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის აგვისტოს ჩათვლით ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების მიერ ორგანიზებულ აქციებზე დაკვირვების შედეგები ხელმისაწვდომია დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის *ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციებზე დაკვირვების ანგარიშში*, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1075/>



3. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი

შეკრებისა და მანიფესტაციების ფორმებსა და მათი პროცედურულად განხორციელების წესებს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს. კანონმდებლობა რიგ შემთხვევაში ბუნდოვანია და უფლების მატარებლისთვის ხელოვნურ ბარიერებს ქმნის.

საქართველოს ნორმატიული აქტის მიხედვით, ადგილობრივი ორგანოს წინასწარი გაფრთხილება აუცილებელია, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფოს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე, სპონტანურად გამართული შეკრებების დაცვისა და მათი ჩატარების უზრუნველყოფის ვალდებულება, სანამ შეკრება მშვიდობიან ხასიათს ატარებს.⁴⁸

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ თბილისის მერიიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციიდან ირკვევა, რომ დემონსტრანტებს თითქმის ყოველთვის შეჰქონდათ წინასწარი განცხადება მერიაში გზის შესაძლო გადაკეტვის თაობაზე.⁴⁹

3.1 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე მუხლები (სამართალ-

⁴⁸ Oya Ataman v. Turkey, application no. 74552/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სტრასბურგი, 2006 წელი, 5 დეკემბერი.

⁴⁹ თბილისის მერიიდან მიღებული პასუხის მიხედვით, 27 მარტს გამართულ აქციასთან დაკავშირებით მერიაში არ ყოფილა გაფრთხილების წერილი შეტანილი - გავრცელებული ინფორმაციით, 20-მდე აქტივისტის დაკავების მიზეზი სატრანსპორტო გზის გადაკეტვა იყო.

დამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონ-საწინააღმდეგო ქმედების განხორციელება) განსხვავებული შემადგენლობ-ისაა, შეკრებისა და მანუფესტაციების დროს, სამართალდამცავები დემონ-სტრანტებს სწორედ ამ ორი მუხლის კუმულაციურად გამოყენების საფუძ-ველზე აკავებენ.

მაგალითად, 2022 წლის 7 მარტს სამართალდამცავებმა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან გამართული აქციის 16 მონაწილე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების სავარაუდო დარღვევისათვის დააკავეს. მსგავსი ტენდენცია იყო გასული წლების განმავლობაშიც, რასაც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული დაკვირვებებიც ადასტურებს.⁵⁰ არსებული ტენდენცია შესაძლოა აიხსნას, ერთი მხრივ, ნორმათა ხარვეზიანი ბუნებით და, მეორე მხრივ, მათი არასწორი განმარტებით. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 2019–2020 წლებში აკვირდებოდა აქციებზე დაკავებული პირების სასამართლო პროცესებს, რა დროსაც ნათელი გახდა, რომ 166-ე მუხლს სამართალდამცავები არასწორად განმარტავენ და თითქმის ყველა შემთხვევაში, იყენებენ 173-ე მუხლთან ერთად, მაშინ, როდესაც ხუ-ლიგნობის ჩამდენი პირის ძირითადი მოტივაცია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის, საზოგადოების მიმართ შეურაცხყოფის მიყენებაა.⁵¹ თუმცა, როცა დემონსტრანტი დაუმორჩილებლობას ავლენს სამართალდამცავის მიმართ, ეს არის არა ხულიგნობა, არამედ 173-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი ნიშანი, რადგან სწორედ ეს მუხლი აწესრიგებს სპეციალურ ურთიერთობას.

ამ კონტექსტში საინტერესოა 2021 წელს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებები, რომლებიც პარტია „ქარ-თული ოცნების“ დეპუტატებმა 26 აპრილს დაარეგისტრირეს. კანონპროექ-ტი მმართველი პარტიის საპარლამენტო უმრავლესობამ სამი მოსმენით სამ დღეში - 29 აპრილის მიიღო. ცვლილებებით ისედაც არაპროპორციულად მკაცრი პასუხისმგებლობის ზომა კიდევ უფრო დამძიმდა. შესაბამისად,

⁵⁰ Democracyresearch.org (ვებგვერდი), *საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ - 2020*, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FYtcBx>; *საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ 2021*, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vqP0kc>, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

⁵¹ Democracyresearch.org (ვებგვერდი), *საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ, 2020*, გვ.14-18, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FYtcBx>, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

დღეს მოქმედი რედაქციით, 166-ე მუხლის შემთხვევაში განმეორებით სამართალდარღვევის ჩადენა იწვევს პირის დაჯარიმებას 1 500 ლარიდან 2 000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5 დღიდან 15 დღემდე ვადით,⁵² ხოლო 173-ე მუხლის შემთხვევაში - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 3500 ლარიდან 4 500 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღიდან 15 დღემდე ვადით.⁵³ გარდა ამისა, ცვლილებებმა მოსამართლეს წაართვა შესაძლებლობა, განმეორებითი სამართალდარღვევის შემთხვევაში, გამოიყენოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობა და მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლოს.⁵⁴ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ არასათანადოდ მკაცრი სანქციის გამოყენებამ, შესაძლოა, მსუსხავი ეფექტი იქონიოს შეკრების თავისუფლებაზე.⁵⁵ მსუსხავ ეფექტსა და შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შესაძლო დარღვევაზე საუბრობს ვენეციის კომისიაც იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული იქნება არაპროპორციული სანქციები.⁵⁶

⁵² საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, 2021 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე, კოდექსის 166-ე მუხლი არ ითვალისწინებდა დათქმას სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენასთან დაკავშირებით. მოსამართლეს შეეძლო პირი, მიუხედავად სამართალდარღვევის ჩადენის რაოდენობისა, 500-დან 1000 ლარამდე დაეჯარიმებინა ან, თუ საქმის გარემოებებისა და სამართალდარღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, შეეფარდებინა ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=476>, მუხლი 166.

⁵³ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, 2021 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე, კოდექსის 173-ე მუხლი არ ითვალისწინებდა კონკრეტულ დათქმას, განმეორებით სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში. მოსამართლეს შეეძლო პირი, მიუხედავად სამართალდარღვევის ჩადენის რაოდენობისა, 1 000-დან 4 000 ლარამდე დაეჯარიმებინა ან 15 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდებინა. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=476>, მუხლი 173.

⁵⁴ Democracyresearch.org (ვებგვერდი), ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებები რეპრესიულია და ამცირებს მშვიდობიანი პროტესტის სიერცეს, 30.04.2021, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/580/>, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

⁵⁵ Council of Europe, 2022, Guide on Article 11 of the European Convention on Human Rights, Freedom of Assembly and Association, პარაგრაფი 77-79, ხელმისაწვდომია: https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_11_ENG.pdf, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

⁵⁶ (European Commission for Democracy through Law (Venice Commission) and Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), Guidelines on Freedom of Peaceful Assembly (3rd Edition), 8 ივლისი, 2019 წელი, პარაგრაფი 36), ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2019\)017-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2019)017-e), (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, მოქმედი სახდელები ვერ უზრუნველყოფდა სამართალდარღვევის ჩადენის პრევენციას. წლების განმავლობაში არსებული პრაქტიკის ანალიზის შედეგად ჩნდება ეჭვი, რომ გამკაცრებული ნორმების მთავარი ადრესატები მმართველი პარტიისადმი ოპოზიციურად განწყობილი მხარეები, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და სამოქალაქო აქტივისტები არიან. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მათთან მიმართებით გამოყენებული სასჯელის ზომა, როგორც წესი, უფრო მკაცრია, ვიდრე ჩადენილი სამართალდარღვევის სიმძიმე და ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიმართ გამოყენებული სანქციები.⁵⁷

შერჩევითი დამოკიდებულების საილუსტრაციო საჩემები

ნატა ფერაძის საქმე

აქტივისტი ნატა ფერაძე 2022 წლის 25 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გამართულ აქციაზე სტიკერების გაკვრის გამო დააკავეს (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის დარღვევისათვის).⁵⁸ აქტივისტი პოლიციელის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანის ცემის ფაქტს აპროტესტებდა.

2022 წლის 7 მარტს სამოქალაქო აქტივისტები და მოქალაქეები მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან შეიკრიბნენ და უკრაინის მიმართ საქართველოს მთავრობის პოზიცია გააპროტესტეს. აქციის მონაწილეებმა ადმინისტრაციის შენობას ტუალეტის ქაღალდები ესროლეს, თუმცა სამართალდამცავებმა აქციის 16 მონაწილე, მათ შორის, ნატა ფერაძეც, სასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლების საგარაუდო დარღვევისათვის მაშინ დააკავეს, როდესაც აქცია უკვე დასრულებული იყო და აქციის მონაწილეები შეკრების ადგილს ტოვებდნენ. 2022 წლის 25 მარტს სასამართლომ 2022 წლის 25 იანვრისა და 7 მარტის სამართალდარღვევის საქმეები ერთ წარმოებად გააერთიანა და მიიღო

⁵⁷ democracyresearch.org (ვებგვერდი), 06.10.2022, DRI ულტრამემარჯვენე ჯგუფებზე დაკვირვების ერთი წლის შედეგებს აჯამებს, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1075/>

⁵⁸ formulanews.ge (ვებგვერდი), 25.01.2022, შსს-სთან ნატა ფერაძე დააკავეს, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/63545>, (ბოლოს ნანახია: 15.12.2022).

დადგენილება ნატო ფერადის სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ. ფერადეს სახდელის სახით განსაზღვრა ჯარიმა 2 300 ლარის ოდენობით.

2022 წლის 8 მარტს, სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი შოთა დიდმელაშვილი მთავრობის ადმინისტრაციის შენობისთვის კვერცხის სროლის გამო დააკავეს. მას პროტესტის ამ ფორმის გამოყენებისთვის სასამართლომ 4-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.⁵⁹

VS

ევროკავშირის დროშების დაწვის საქმე

2022 წლის 6 ივნისს „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციაზე ღიად პრორუსულმა ულტრამემარჯვენე ლიდერებმა ევროკავშირის წარმომადგენლობასთან ცისარტყელასა და ევროკავშირის დროშების დაწვა სცადეს, რასაც სამართალდამცავებსა და დემონსტრანტებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. შედეგად, ევროკავშირის დელეგაციის ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის 7 მონაწილე დააკავეს და რამდენიმე საათში სიტყვიერი გაფრთხილების საფუძველზე გაათავისუფლეს. დაკავებულებს შორის იყვნენ „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებისა“ და „ზნეობის“ ხელმძღვანელი გურამ ფალავანდიშვილი და მისი ვაჟი ალექსანდრე ფალავანდიშვილი. დაკავების საფუძველს წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 167-ე (ცეცხლსასროლი იარაღიდან, გაზის (აირის) იარაღიდან, ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღიდან ან სასიგნალო იარაღიდან სროლა დასახლებულ პუნქტში ან საამისოდ გამოყოფილ ადგილას ან საამისოდ გამოყოფილ ადგილას, მაგრამ დადგენილი წესის დარღვევით) მუხლები.

შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, დაკავებულები სიტყვიერი გაფრთხილების შემდეგ გაათავისუფლეს.

⁵⁹democracyresearch.org (ვებგვერდი), DRI ულტრამემარჯვენე ჯგუფებზე დაკვირვების ერთი წლის შედეგებს აჯამებს, 6.10.2022, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1075/>



4. დემონსტრანტები და სამართალდამცავები აქციაზე

4.1. დემონსტრანტების ქმევა აქციაზე

საანგარიშო პერიოდში გამართული აქციები, ძირითადად, წინასწარ იყო დაგეგმილი და ორგანიზებული. თუმცა, არსებობდა გამონაკლისებიც. სპონტანურობის გამო დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლებმა რამდენიმე აქციაზე დაკვირვება ვერ შეძლეს.

შეკრების მიზნიდან გამომდინარე აქციათა ორგანიზატორები განსხვავდებოდნენ. მაგალითად, ევროინტეგრაციის მხარდამჭერი აქციების მთავარი ორგანიზატორი 2022 წლის ივნისი-ივლისის პერიოდში მოძრაობა „სირცხვილია“ იყო. სოციალური ტიპის აქციებს ორგანიზება მოძრაობამ „უარი საწვავის ფასებს“ გაუწია. საახალწლო სლოგანთან დაკავშირებული აქციების ორგანიზატორები იყვნენ მოძრაობა „ტალღა“ და პოლიტიკური გაერთიანება „დროა“. ოპოზიციური პარტიების ლიდერების მხარდამჭერი აქციები კი პოლიტიკური პარტიების ინიციატივით ტარდებოდა.

აქციებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ შეკრებისა და გამოხატვის უფლების მომწესრიგებელ კანონმდებლობას დემონსტრანტები შედარებით მაღალი სტანდარტით იცავენ.

მიუხედავად საანგარიშო პერიოდში არსებული მწვავე პოლიტიკური და სოციალური ფონისა, აქციის მონაწილეთა გეგმები და, როგორც წესი, მოწოდებები სრულად ექცეოდა სამართლებრივ ჩარჩოში. მომიტინგეები პროტესტს გამოხატავდნენ ბანერებით, პლაკატებით, კანონმდებლობით დაშვებული სხვა საგნებით. რამდენიმე შემთხვევაში აქციის მონაწილეებმა სცადეს ადმინისტრაციულ შენობებზე ტუალეტის ქაღალდების სროლითა და რუსული წარმოების კეტუპის შესხმით გამოეხატათ საკუთარი პროტესტი, რა დროსაც ისინი სამართალდამცავებმა დააკავეს.⁶⁰ თითქმის

⁶⁰ formulanews.ge (ვებგვერდი), 6.03.2022, კანცელარიასთან რუსული კეტუპის დასხმისთვის ხოშტარია, მაცაბერიძე და ლემონჯავა დააკავეს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WS4c5T>, (ბოლოს ნანახია: 15.12.2022).

ყველა აქციაზე იყო სიტყვით გამოსვლები, რომლებიც სრულად ჯდებოდა გამოხატვის თავისუფლების ჩარჩოებში. სპიკერები არ ჰყავდა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 16 ივნისს ორგანიზებულ აქციას და მოძრაობა „ტალღას“ ინიციატივით გამართულ შეკრებებს.

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობას, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება.⁶¹ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, წინასწარ გაფრთხილებდნენ თუ არა აქციის ორგანიზატორები ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოს მანქანის სავალი ნაწილის შესაძლო გადაკეტვის შესახებ. მიღებული პასუხის მიხედვით, თითქმის ყველა შემთხვევაში, გარდა 27 მარტის აქციისა,⁶² აქციის ორგანიზატორები თბილისის მერიას წინასწარ გაფრთხილებდნენ⁶³ თუ აქცია ტრანსპორტის სავალ ნაწილზე იყო დაგეგმილი ან მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობიდან გამომდინარე, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხების მოლოდინი ჰქონდათ.

4.2 სამართალდამცველთა ქმედებები აქციებზე

საანგარიშო პერიოდში გამართულ აქციებს, წინა წლების მსგავსად, დიდი რაოდენობის სამართალდამცავი ესწრებოდნენ. ყველაზე მეტი სამართალდამცავი მობილიზებული იყო 2022 წლის 20 ივნისს, საქართველოს პარლამენტთან გამართულ ევროინტეგრაციის მხარდამჭერ აქციაზე. საქართველოს მესამე პრეზიდენტის მხარდასაჭერად გამართულ აქციებზე პრეზიდენტის სასახლესთან და სალომე ზურაბიშვილის სახლთან, სამართალდამცავთა რაოდენობა, ხანდახან დემონსტრანტების რაოდენობას აღემატებოდა. მსგავსი ტენდენცია გამოიკვეთა მოძრაობა „ტალღას“ მიერ გამართულ აქციებზეც.⁶⁴

⁶¹ „შეკრების და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5.

⁶² თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი, 10.08.2022.

⁶³ თბილისის მერიიდან მიღებული პასუხის მიხედვით, 27 მარტს გამართულ აქციასთან

⁶⁴ მაგალითად, მოძრაობა „ტალღას“ მიერ 11 აპრილს ორგანიზებულ აქციას 30-მდე ადამიანი და დაახლოებით, 20 სამართალდამცავი ესწრებოდა.

დაკავშირებით მერიამ არ ყოფილა გაფრთხილების წერილი შეტანილი. გავრცელებული ინფორმაციით, 20-მდე აქტივისტის დაკავების მიზეზი სატრანსპორტო გზის გადაკეტვა იყო. იხ.

„შსს-ს ცნობით, თბილისის აქციაზე 20 ადამიანი დააკავეს“, 27.03.2022,

<https://netgazeti.ge/news/602105/>, (ბოლოს ნანახია: 7.09.2022).

პრეზიდენტის სასახლესთან გამართულ აქციაზე, სამართალდამცავები ფოტოებს ღიად უღებდნენ შეკრებილებს.

საერთო ჯამში, სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეთა შორის ნეიტრალური დამოკიდებულება იყო. პოლიციელები აქციაზე მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფდნენ წესრიგს. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში, ისინი კონსტრუქციულად მოქმედებდნენ, იყო შემთხვევა, რამაც ეჭვი გააჩინა, მათ ნეიტრალურობასთან და ობიექტურობასთან დაკავშირებით. მაგალითად, 8 მარტს პოლიციამ დააკავა არაერთი აქტივისტი, დროებით აღმართულ კედელზე ანტირუსული შინაარსის პლაკატის გაკვრის მცდელობის გამო, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, სამართალდარღვევას არ წარმოადგენს.⁶⁵ ასევე, 2022 წლის 7 მარტს სამოქალაქო აქტივისტები მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან შეიკრიბნენ და უკრაინის მიმართ საქართველოს მთავრობის პოზიცია გააპროტესტეს. აქციის მონაწილეებმა ადმინისტრაციის შენობას ტუალეტის ქაღალდები ესროლეს, თუმცა სამართალდამცავებმა აქციის 16 მონაწილე, სასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლების დარღვევისათვის მაშინ დააკავეს, როდესაც აქცია დასრულდა და შეკრების ადგილს ტოვებდნენ. ნატა ფერაძე თავდაპირველად დააკავეს 2022 წლის 25 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მიმდინარე აქციის დროს განათების ბოძზე საპროტესტო სტიკერის გაკვრის მცდელობისას.⁶⁶ 2022 წლის 25 მარტის სასამართლოს დადგენილების მიხედვით,⁶⁷ 25 იანვრის დაკავების საფუძველი იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი, ხოლო 7 მარტს 166-ე და 173-ე მუხლები. წარმოდგენილი სამართალდარღვევის მასალებით და მხარეთა ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნატალია ფერაძე 25 იანვარს არ დაემორჩილა სამართალდამცავის კანონიერ მოთხოვნას, ხოლო 7 მარტს სამართალდამცავების კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, თან სდევდა მისი ლანძღვა-გინება და საზოგადოების მიმართ უპატივცემულობა.

⁶⁵ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 150, (ბოლოს ნანახია: 11.01.2023).

⁶⁶ აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ ბმული: https://www.youtube.com/shorts/HHoL_6ub_EI, (ბოლოს ნანახია: 29.12.2022).

⁶⁷ დადგენილება საქართველოს სახელით ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ, 25 მარტი, საქმე N 330510022005575268, N4/1277-22.

პოლიციელთა ქმედებების კანონიერებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ნატა ფერადის ახსნა-განმარტება:

„მოწმის სახით გამოკითხული ანა ჩაკვეტაძე, არის 2022 წლის 25 იანვრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი, თუმცა არ იყო უშუალოდ დამკავებელი პოლიციელი. მოწმის განმარტებით, [იგი] 2022 წლის 25 იანვარს იმყოფებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიაზე და დაინახა რომ გავაკარი ე.წ. სტიკერები, აგრეთვე, არ დავემორჩილე პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას, რომ შემეწყვიტა სტიკერების გაკვრა. ფაქტობრივად, სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის გარემოებები, რაც შაბლონურად არის მითითებული სამართალდარღვევის ოქმში. მოწმემ მოსამართლის კითხვაზე, თვითონ მომიწოდა თუ არა ქმედების შეწყვეტისაკენ, განმარტა რომ თვითონ არ განუმარტავს ჩემთვის აღნიშნული, თუმცა აღქმადი იყო მისთვის პოლიციელთა მხრიდან მოწოდების შესახებ. აღქმადი იყო მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მეტრიანი დაშორებით იმყოფებოდა, გზის მეორე მხარეს.“

მიუხედავად აღნიშნული ჩვენებისა, ადმინისტრაციული სახდელის სახედ ნატა ფერადეს განესაზღვრა ჯარიმა 2 300 ლარის ოდენობით.

ხალხმრავალ აქციებზე, უშუალოდ აქციების მიმდინარეობისას სამართალდამცავთა ქმედებები, უმეტესწილად, პროპორციული ხასიათის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი იყო. თუმცა, ზემოთ აღნიშნულ აქციებზე დაკვირვება ეჭვს ბადებს პოლიციელების მხრიდან განხორციელებული ქმედებების პროპორციულობასთან დაკავშირებით.

მონიტორინგის მთავარი მიზნები:

- გამართული აქციების უდიდესი ნაწილის ორგანიზება სოციალური ქსელით ხდებოდა და მოსახლეობისთვის აქციის მიზნების, ჩატარების დროის და ადგილის შესახებ ინფორმაცია ძირითადად ონლაინ სივრცეში ვრცელდებოდა.
- სამოქალაქო აქტივისტებისა და ოპოზიციური პარტიების მხრიდან გამართული აქციები, როგორც წესი, უშედეგოდ მთავრდება - საანგარიშო პერიოდში გამართული არც ერთი შეკრების მთავარი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.
- საანგარიშო პერიოდში გამართული აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკური მოთხოვნებით ან პოლიტიკოსის მხარდაჭერის მიზნით იმართებოდა. სოციალური ტიპის აქციების რაოდენობა უკიდურესად მცირე იყო.
- განსაკუთრებით მასშტაბური ხასიათის იყო საქართველოს ევროპული საგარეო არჩევანის მხარდასაჭერად 2022 წლის ივნის-ივლისში გამართული აქციები, რომლებიც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ დაკვირვების განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში (2019-2022 წლები) ყველაზე ხალხმრავალი იყო.
- საანგარიშო პერიოდში გამართული აქციების დროს, ცალკეულ შემთხვევაში, სამართალდამცავების რაოდენობა დემონსტრანტების რაოდენობას უტოლდებოდა ან აღემატებოდა.
- პრეზიდენტის სასახლესთან გამართულ კონტრაქციას, მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, არაპროპორციულად მცირე რაოდენობის სამართალდამცავები ესწრებოდნენ. პოლიციელებს კონტრაქციის მონაწილეთა შესაკავებლად, რომლებიც რეზიდენციის ეზოში შევიდნენ, არანაირი ზომა არ მიუღიათ.
- სამართალდამცავები აქციის მონაწილეებს ფოტოებს ღიად უღებდნენ, თუმცა, ამასთან დაკავშირებით აქციის მონაწილეებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ.
- საანგარიშო პერიოდში აქტუალური იყო სამართალდამცავების მხრიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლისა და 173-ე მუხლების არასათანადო გამოყენება, რასაც სასამართლოებიც იზიარებდნენ.
- ზოგიერთ შემთხვევაში, დემონსტრანტები სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დააკავეს.

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2021 წელს ასახული გამკაცრებული ნორმების მთავარი ადრესატები მმართველი პარტიისადმი ოპოზიციურად განწყობილი მხარეები, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და სამოქალაქო აქტივისტები არიან.
- სამართალდამცველების და სასამართლოს მიდგომა აქციაზე დაკავებული პირების მიმართ შერჩევითია. როგორც წესი, ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიერ ორგანიზებულ აქციებზე დაკავებულ პირებს სასამართლო არაპროპორციულად მაღალ ჯარიმებს უფარდებს, მაშინ როდესაც სამართალდამცველები ულტრამემარჯვენე ჯგუფების აქციებზე დაკავებულ პირებს სიტყვიერი გაფრთხილების სანაცვლოდ ათავისუფლებენ.